MES 8 21 0000680051

06/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.06.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:08სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
7. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
15. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
18. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

1. **გიორგი ჩილინგარაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
2. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. **ნინო ოკრიბელაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
4. **მაია ბიწკინაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

5. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძარვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ბიძინა კულუმბეგოვი** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის"მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
7. **ზაზა ავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
8. **მარინე გელანტია** - შპს "აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
9. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
10. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
11. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;
12. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
15. **შორენა წიკლაური** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
16. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი

1.	როლანდი კოპალიანი		რექტორი	I, II
2.	შალვა კირთაძე		რექტორის მოადგილე	I, II
3.	კახა კუპატაძე		ადმინისტრაცის ხელმღვანელი	I, II
4.	თეა კორძაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III
5	ირინე ფხაკაძე		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
6	ნანა შავლაყაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
7	გიორგი ჭიჭინაძე		ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	I, II
8	მანანა ჩიხლაძე		მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პრპფესორი	I, II
9	თამარ ჯანელიძე		მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პრპფესორი	I, II
10	ომარ კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	III
11	პაატა გერაძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის უფროსი	III
12	გია დადუნაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV, V
14	ოთარ გელაშვილი		სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეკანი	IV
15	ნათია ბუთხუზი		სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
16	ნია ნათბილაძე		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია“ ხელმძღვანელი	IV
17	რამაზ ტყემალაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასისტენტ-პროფესორი	IV
18	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	IV, V
19	თამარ ლომინაძე		ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	V
20				V

	ქეთევან კოტეტიშილი		ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
21	ქართლოს ყაჭიაშვილი		ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ ხელმძღვანელი,	V
22	ირინე კვაჭაძე	სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
23	ლელა მასხულია		ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკან	VI
24	ირინე ზარნაძე		"რეაბილიტაციაში მრჩევლის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	VI

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	რიჩარდ ბლექსლენდ ჰეისი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ილია მესხი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ეკა აბჟანდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
6	ნია ნათბილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ქეთევან დავითაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	თეა ნარეკლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	მაია გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „რეაბილიტაციაში მრჩევლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წაროდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „რეაბილიტაციაში მრჩევლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წაროდგენილი ანგარიშის განხილვა.

1.**პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„დიპლომირებული მედიკოსი/PBL“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N59, 15.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზდობის გამზ.No98, ქუთაისი, 4600, საქართველო. აწსუ სასწავლო კორპუსი No11.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ადგილზე ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა სწავლების მაღალი ხარისხი, ინფრასტრუქტურა და საერთაშორისო დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების სიმტკიცე. ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტთას ჯფუფს პროგრამის წესებისა და მიღწევების შესახებ. პანდემიის გამო, ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები განხორციელდა დისტანციურად და მხოლოდ სამმა წევრმა შეძლო წვეოდა სასწავლო და კვლევით ობიექტებს. ინტერვიუირებული კურსდამთავრებულები წარმოადგენდნენ 'ძველ' დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის საბაზისო სამედიცინო განათლების სტანდარტებს. კურიკულუმის შემუშავება ითვალისწინებდა დამსაქმებლის, პროფესიონალისა და კურსდამთავრებულთა გამოხმაურების გათვალისწინებას. დიპლომირებული მედიკოსის ეს პროგრამა აკრედიტირებული იყო 2015 წელს და უნდა გაევლო ხელახალი აკრედიტაცია 2020 წელს, მაგრამ ეს გადაიდო ჩოვიდ-19 პანდემიის გამო. ახალი დიპლომირებული მედიკოსის / პრობლემაზე დაფუძნებული სწავლით პროგრამა მასპინძლობს 'ძველი' ქართულენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ზოგიერთ სტუდენტს, რომელიც გაუქმდა 2020 წელს. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა ამ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განსახორციელებლად, მათ შორის თანამშრომლობა ქუთაისის რეგიონის რამდენიმე ჰოსპიტალთან და სამეცნიერო ცენტრთან, თუმცა ეს რესურსები საზიაროა ინგლისურენოვან დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასთან.პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია და ისინი ადგენენ კურსდამთავრებულთა სასურველ მახასიათებლებს. ისინი შემუშავდა პროფესიის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციის საფუძველზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. კურსდამთავრებულებმა პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე უნდა გაიარონ საქართველოს ეროვნული სალიცენზიო გამოცდა. ბოლო წლების ეროვნული სალიცენზიო გამოცდის ჩაბარების მაჩვენებელი იყო დაახლოებით 60%. თუმცა, ეს არ ასახავს ახალ პროგრამას, რომელიც კურსდამთავრებულთა პირველ ნაკადს გამოუშვებს 2021 წელს. მოსალოდნელია ჩაბარების უფრო მაღალი მაჩვენებელი. კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ჩააბარეს ეროვნული სალიცენზიო გამოცდა და მუშაობენ ადგილობრივ კლინიკებსა და ჰოსპიტლებში, როგორც ჩანს, გააჩნიათ პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ცოდნა და უნარები.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სილაბუსებში, ყოველკვირეულ გეგმასთან ერთად, უნდა მიეთითოს თუ რომელი ლიტერატურიდან ასწავლიან თემას, სახელმძღვანელოს ან სხვა ლიტერატურის დასახელებითა და მასში გვერდების იდენტიფიცირებით. ლიტერატურა მედიცინის ყველა სფეროში არ უნდა იყოს 5 წელზე უფრო ძველი გამოცემის.
2. დასკვნითი გამოცდებისათვის გამოიყენეთ შეფასების უფრო შესაბამისი მეთოდოლოგია. მხოლოდ მრავალპასუხიანი კითხვები (MCQ) არ არის შესაბამისი.
3. შესასწორებელია: დანართი 3-ში წარმოდგენილია 74 CV, მაგრამ დანართი 5-ში მხოლოდ 70 ადამიანია მოხსენიებული პროგრამის პერსონალში; ზოგიერთი ადამიანი აკლია ნუსხას, ხოლო ზოგიერთ პიროვნებას ასევე აკლია CV; ეს ნიშნავს, რომ 74 არ არის სწორი რიცხვი, ხოლო ჩამონათვალი და მოწოდებული დოკუმენტაცია არ აღწერს სრულად რეალობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში შენარჩუნდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, რაც სტუდენტს აჩვევს კრიტიკულ აზროვნებას, ეხმარება განავითაროს უნარების ფართო სპექტრი (მაგ., პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, ინტერპერსონალური, გუნდში მუშაობის, ლიდერობის უნარები). სტუდენტები სწავლობენ სცენარების ე.წ „ქეისების/Cases“ მიხედვით, სწავლას მიმართულებას აძლევს (წარმართავს, წარუძღვება) ტუტორი, პდს ტუტორები მომზადნენ 30519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR ფარგლებში და ფლობენ შესაბამის სერტიფიკატს; პროგრამის მოცულობა შეადგენს 360 ECTS კრედიტს (1 კრედიტი - 25 სთ.), ხანგრძლივობა განისაზღვრება 6 აკადემიური წლით და პროგრამა სრულდება კომპლექსური საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით, კურიკულუმი აგებულია 12 სემესტრზე, კრედიტების სემესტრული რაოდენობა - 30. პროგრამის ინტეგრირების ხარისხს აძლიერებს PBL სწავლების მეთოდი PBL სესიის (ტუტორიალის) ფორმატში და უზრუნველყოფს დიპლომირებული მედიკოსის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის შესაძლებლობას სწავლების პირველი წლიდანვე. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური რესურსითა და შესაბამისი მატერიალურ – ტექნიკური ბაზით: პროგრამას ახორციელებს ფაკულტეტის შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, ამავდროულად, მის განხორციელებაში ჩართულია ქალაქის ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელი წამყვანი სამკურნალო - დიაგნოსტიკური დაწესებულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის, ლიტერატურის არსებობა ბიბლიოთეკაში დადასტურებულია ექსპერტთა მიერ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ფაკულტეტი მუდმივად ზრუნავს რესურსის განახლებასა და უახლესი ლიტერატურის შეძენაზე. აღნიშნული პერმანენტული პროცესია და

მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში. ამასთანავე, არც ერთი მარეგულირებელი წესით არ არის განსაზღვრული მოთხოვნა სილაბუსში განსახილველი თემების შესაბამისი გვერდების დაკონკრეტება მითითებული ლიტერატურიდან. ამდენად, პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები, მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები, საუნივერსიტეტო რეგულაციები დარღვეული არ არის.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ექსპერტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა მოხდა სიფრთხილით, შესაბამისი ადამიანური რესურსის გადამზადებითა და მატერიალური რესურსის სათანადო მომზადებით და თანდათან უმეტეს კლინიკურ საგნებში OSCE იგეგმება ეტაპობრივად. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზით ნამდვილად ჩანს, რომ პროგრამაში დასკვნითი გამოცდები უმეტესწილად კომბინირებულია და მოიცავს არამხოლოდ MCQs, არამედ ტესტირებას კომბინაციაში: MCQ და ზეპირი გამოკითხვა; MCQ და სადემონსტრაციო მასალის აღწერა; MCQ და OSPE- ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა; MCQ და ლაბორატორიულ შეფასება; MCQ და ქეისის ანალიზი; MCQ და OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „დიპლომირებული მედიკოსი/PBL“ სრული პაკეტი 17 დანართით წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2019 წლის დეკემბერში, თუმცა 2021 წლამდე განხორციელებული ცვლილებების შედეგად მომზადებული საბოლოო კურიკულუმი სილაბუსების პაკეტითა და განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციით, წარდგენილ იქნა 2021 წლის მარტის თვეში, შესაბამისად თუ ძველ პაკეტში ფიქსირდებოდა 70 განმახოციელებელი პირის დოკუმენტაცია, განახლებულ პროგრამაში უკანასკნელი ნამდვილად შეადგენს 74 პერსონალს, მათ შორის გადამზადებული ტუტორების ჩათვლით. აღნიშნული გარემოების გადამოწმება შესაძლებელი იქნებოდა ვიზიტის მიმდინარეობისას, თუმცა შეკითხვა არ დასმულა, ექსპერტები მიიღებდნენ ამომწურავ ინფორმაციას აღნიშნული ცვლილების მიზეზების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დააზუსტო ხომ არ ყოფილა ვირტუაურო OSCE-ს მეთოდები გამოყენებული სწავლების დროს, რადგან ძირითადად MCQ-ზე დაყრდნობა და მხოლოდ პრაქტიკული უნარების შეფასება არარელევანტურია.

მოწვეული საბჭოს წევრმა, ზაზა ავალიანმა დააზუსტა თუ რას ფიქრობს დაწესებულება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კურსდამთავრებულთა 40% არ აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელებს განემარტათ აკადემური პერსონალის საკითხი, განსაკუთრებით კი რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე დაყრდნობით.

მოწვეული საბჭოს წევრა, ხათუნა თოდაძემ, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეკონკრეტებინათ, თუ როგორ მიმდინარეობს პროგრამაზე არსებული აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და რამდენად არიან ისინი ჩართულნი საერთაშორისო ღონისძიებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაზე შრომის ბაზრის ანალიზის ნაწილში წარმოდგენილი იყო ორი დოკუმენტი. ერთ დოკუმენტში გამოკითხულნი არიან უნივერსიტეტების, ანუ განათლების ბაზარი, ხოლო მეორეში გამოკითხულია

მიკროსაფინანსო/საკრედიტო ორგანიზაციები, თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა შორის არ არის წარმოდგენილი არც ერთი სამედიცინო დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა გათვალისწინებულზე ნაკლების სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში განხორციელდება თუ არა პროგრამა და გათვლილია თუ არა ბიუჯეტი მოცემულ შემთხევასთან დაკავშრებით.

მოწვეული საბჭოს წევრმა, ნინო ოკრიბელაშვილმა დააზუსტა თუ რა გამოწვევებს ხედავს უნივერსიტეტის PBL-ის განხორციელებასა და ინტეგრაციასთან მიმართებით.

მოწვეული საბჭოს წევრმა, გივი ჯავაშვილმა ისაუბრა კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით და დააზუსტა თუ რა როლი აქვს საწყის კლინიკურ და პრე კლინიკურ სასწავლო კურსებს მე-14 კომპეტენციის მიღწევასთან.

მოწვეული საბჭოს წევრმა, მაია ბიცკინაშვილმა დააზუსტა OSCE-ს სადგირების რაოდენობა და ასევე სტანდარტიზებულ პაციენტებთან მიდგომა და მეთოდოლოგია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში დაწესებყლებას ჰქონდა შესაძლებლობა ჩაეტარებინა PBL ქეისები, რომლის ფარგლებშიც ტარდებოდა არა მარტო ტუტორიალები, არამედ ხდებოდა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციი უნარების კუთხით განვითარება.

რაც შეეხება OSCE-ს დანერგვას, პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის ფაკულტეტის ბაზაზე არსებობს კლინიკური უნარების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია დარგობრივი პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის აუცილებელი ყველა მულაჟით, მანეკენით და ინსტრუმენტით, აქ უკვე ფუნქციონირებს სიმულაციური ცენტრის სადგურები, რომლებიც გამოიყენება როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ასევე, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩასატარებლად. პროგრამის პდს ფორმატი დამატებით შესაძლებლობებს აძლევს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განავითარება-გაღრმავების მიზნით უნივერსიტეტის საბაზო კლინიკებში, კერძოდ, პდს კვირის მიმდინარეობაში გათვალისწინებულია კლინიკური სესიები პაციენტთან დამოუკიდებელი მუშაობისთვის (ანამნეზის შეკრება, კომუნიკაციის მეტი შესაძლებლობა პაციენტთან და კლინიკის სამედიცინო პერსონალთან, ა. შ.), რაც ასევე პროგრამის ძლიერი მხარეა და სტუდენტისთვის დამატებითი სარგებელი. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს უცოხეულ კოლეგებთან, რომელთან დახმარებითაც ჩატარდება ტრენინგები OSCE, PBL, CBL მეთოდებთან და ონლაინ შეფასების სისტემებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგნელმა ასევე აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის OSCE ყველა სასწავლო მოდულში იქნება გათვალისწინებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა 40%-იან დეფიციტზე და აღნიშნა, რომ ფაქტობრივად სალიცენზიო მონაცემები პროგრამისთვის სახეზე არ იყო, ვინაიდან მოცემული პროგრამის განხორციელება 2015 წელს დაიწო და შესაბამისად სტუდენტების 2021 წელს ასრულებენ პროგრამას. მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენდა 60%-67% გულისხმობდა 1995 წლიდან სამკურნალო მედიცინის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულს კვლევის შედეგებს.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის განვითარების საკითხს, დაწესებულებაში მოცემული პროცესები პერმანენტულად მიმდინარეობს. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა PBL განვითარების ჯგუფთან ერთად დაგეგმა სამუშაო შეხვედრების/ტრენინგების ციკლი სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების გაცნობის მიზნით, რაც ხელს შუწყობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებას. მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (დიპლომირებული მედიკოსი/PBL) პროგრამის განმახორციელებელ პირებს დაევალათ სასწავლო კურსების სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანა 1 სექტემბრისათვის. ცალკე ტრენინგები ჩატარდა OSCE, CBL და PBL- თან დაკავშირებით. გარდა ამისა, აწსუ-ს და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სისტემატურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სემინარები, ტრენინგები, მათ შორის ინგლისურ ენაზე. 2014 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გახდა AMEE-ს - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (www.amee.org) წევრი, ხოლო 2015 წელს მოხდა მისი განთავსება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის - WHO, მსოფლიო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ფედერაციის - WFME და საერთაშორისო სამედიცინო განათლების კატალოგის - IMED, უმაღლესი სამედიცინო სკოლების ვებ-რესურსებზე. 2019 წლის 20 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა - AMEE-ს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი საქართველოში. AMEE. აღნიშნულ ცენტრში დაიგეგმა ტრენინგები სამეცნიერო კვლევის, აკადემიური პერსონალის სწავლების უნარების შეფასების, სამედიცინო განათლების მენეჯმენტის, სიმულაციის და კლინიკური სწავლების საკითხებზე, რომლებსაც გაუძღვებიან სამედიცინო განათლების საერთაშორისოდ აღიარებული, AMEE-ს ექპერტები.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ხათუნა ზალდასატნიშვილმა განმარტა, რომ დიპლომირებული მედიკოსი ვერ საქმდება რადგან მას არ აქვს ექიმად მუშაობის უფლება,შეუძლია დასაქმდეს მხოლოდ უმცროს ექიმად. გარდა ამისა, უმეტესობა კურსდამტავრებულებისა სწავლას აგრძლებენ რეზიდენტურაში.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ბიძინა კულუმბეგოვა დააზუსტა თუ რა კლვევითი პროექტები ხორციელდება პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ხელმძღვანელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას დამსაქმებელთან საკმაოდ ინტესიური ურთიერთობა აქვს. ბევრი მათგანი წარმოადგენს ასევე დაწესებულების მოწვეულ პერსონალს. აღსანიშნავია, რომ ერთსაფეხურიანი პროგრამა მხოლოდ უმცროსი ექიმის კვალიფიკაციას იძლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან დაწესებულებამ მასიუურად დაიწყო როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტების ტესტირება, შესაბამისად, მათი დაშვება როგორც კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, ასევე სხვადასხვა კლინიკურ ლაბორატორიებში უსაფრთხოდ ხდება და ხელს უწყობს თავისთავად ინფექციის პრევენციასაც. შესაბამისად, OSCE-ს და სხვა კლინიკური მეთოდებისა და შეფასების განცორხიელება დაწესებულებაში მიმდინარეობს.

რაც შეეხება კვლევითი პროექტების საკითხს, მედიცინის ფაკულტეტზე ქართველი და უცხოელი სტუდენტების მონაწილეობით ხორციელდება კვლევითი პროექტი „ტყვიისა და ვიტ. D-ს ცვლის შესწავლა დასავლეთ საქართველოს რეპროდუქციული ასაკის ახალგარდებში". ასევე, მიმდინარე პროექტია: ინსულტის პრევალენტობა იმერეთის რეგიონში, რომელიც ტარდება აწსუ და ევექსის ჰოსპიტლების მიერ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რომელ ლაბორატორიაში ხდება ტყვიის კვლევა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული ერთ-ერთ სამკურნალო დიაგნოსტიკურ დაწესებულებასთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არნიშნული კვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აუცილებელი ხარჯებისთვის დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში ესაჭიროება მინიმუმ 20 სტუდენტი, ხოლო ინგისურენოვანი პროგრამის ფარგლებშ 9 სტუდენტი. გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევაში დაწესებულებას თითოეული პროგრამისთვის დათვლილი აქვს პროფიციტი, წინა სემესტრის ხარჯებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ინტეგრაციის საკითხს, პროგრამა ინტეგრირებულია ნაწილობრივ (როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად), ფაკულტეტზე დღემდე მოქმედ პროგრამებთან შედარებით, იგი გამოირჩევა პროგრამის ბაზისური და კლინიკური საგნების ინტეგრირების ხარისხის გაზრდით, სწავლების პირველივე წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობით, სწავლების (CBL, PBL, CBCR) და შეფასების ახალი მეთოდების (OSCE, OSPE, DOPS) დანერგვით, სოციუმისა და სტუდენტის მოთხოვნებზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპით, პროფესიონალური განვითარების ასპექტებით. პროგრამის ინტეგრირების ხარისხს აძლიერებს PBL სწავლების მეთოდი PBL სესიის (ტუტორიალის) ფორმატში და უზრუნველყოფს დიპლომირებული მედიკოსის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის შესაძლებლობას სწავლების პირველი წლიდანვე. სპირალური კურიკულუმის ფარგლებში საბაზისო მოდულებში მიღებული ცოდნა შემდგომ რევიზირდება და კონსოლიდირდება სწავლების მომდევნო ეტაპებზე. სახელწოდება საბაზისო–სამედიცინო მეცნიერებების ეტაპი მხოლოდ პირობითია, ვინაიდან იგი შეიცავს კლინიკური მედიცინისა და პოპულაციის ჯანმრთელობაზე ფოკუსირებულ საკითხებს და გულისხმობს პროფესიული ასპექტების გაცნობას, შესაბამისად, იწყება ექიმის და მომავალი პერსონალური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო ეთიკის საფუძვლების მიწოდება, რაც ხელშეწყობილია სწავლების PBL ფორმატით ქეისებზე დაფუძნებით (PBL კვირეებში). პროგრამის ამ ეტაპზე ორგანიზებულია რამდენიმე PBL კვირა, სამკურნალო დიაგნოსტიკურ დაწესებულებებსა და კლინიკური უნარ–ჩვევების ლაბორატორიაში (PBL სესია) კლინიკური უნარ–ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პირველივე სასწავლო წლიდან სტუდენტებს უყალიბდებათ პროფესიული უნარ-ჩვევები. PBL-ის შეფასებისას აუცილებელ კომპონენტს ასევე წარმოადგენს პროფესიონალიზმი, კერძოდ აქცენტი კეთდება პასუხისმგებლობის აღების ნაწილზე, რომლის ფარგლებშიც ასევე ხდება შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დააზუსტა, რომ პროგრამის ფარგლებში ინსტიტუციას აქვს 12 OSCE-ს სადგური.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:58
დასრულების დრო: 18:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 35
წინააღმდეგი - 0

საბჭომ იმსჯელა და განსაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის 1.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვენბთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა პირველი სტანდარტის „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ შეფსება არ შეცვლილა; 2.6 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხონებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვენთან“ აღნიშნულმა ცვლილებამ შეცვალა მე-2 სტანდარტის, „სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადექვატურობა“, შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“’ 4.1 კომპონენტი შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხონებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვენთან“ აღნიშნულმა ცვლილებამ შეცვალა მე-4 სტანდარტის, „სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა“, შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართ განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია სილაბუსებში მიეთითოს თემატიკების მიხედვით განახლებული (მათ შორის უახლესი უცხოენოვანი) ლიტერატურა;

რჩევები:

1. განმარტეთ რატომ და როგორ შემოიღეთ პროგრამაში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL). როგორც ჩანს, ეს უკავშირდება PBL– ით კმაყოფილებას ინგლისურენოვან პროგრამაში, თუმცა როგორ გაკეთდა ეს, ნაკლებადაა ნათელი;
2. უფრო მკაფიო გახადეთ სტუდენტის პროგრესის მონიტორინგის პროცესები ახალ პროგრამაში, იდეალური იქნებოდა, გაუმჯობესების მაგალითების მოყვანით, შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე;
3. ვერტიკალური ინტეგრაცია უკეთ უნდა იქნეს წარმოდგენილი.˜;
4. გააძლიერეთ აქცენტი შესაბამისი კლინიკური უნარების სწავლებაზე და დახარჯეთ ამაზე მეტი დრო;
5. დასკვნითი გამოცდებისათვის გამოიყენეთ შეფასების უფრო შესაბამისი მეთოდოლოგია. მხოლოდ მრავალპასუხიანი კითხვები (MCQ) არ არის შესაბამისი;
6. სწავლებას, კვლევასა და სხვა პასუხისმგებლობებს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად აუცილებელია ამ პროცესში სხვადასხვა პერსონალის ჩართულობის გადაჯგუფება, რათა აშკარა გახდეს, რომ მათი სამუშაო საათები საკმარისია განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. მაგალითად: პროგრამის ხელმძღვანელი ასწავლის 6 დისციპლინას და არიან სხვა თანამშრომლებიც, რომლებიც ასწავლიან ბევრ განსხვავებულ საგანს;
7. სასურველია (OSCE) შეფასების უფრო ფართოდ დანერგვა კლინიკურ დისციპლინებში;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის/PBL“ ერთაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2.მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N347, 09.06.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამკურნალო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	

		ახალგაზრდობის გამზ. N98, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ადგილზე ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა შეეფასებინა სწავლების მაღალი ხარისხი, ინფრასტრუქტურა და საერთაშორისო დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების სიმტკიცე. ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა სათანადო ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტთას ჯფუფს პროგრამის წესებისა და მიღწევების შესახებ. პანდემიის გამო, ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრები განხორციელდა დისტანციურად და მხოლოდ სამმა წევრმა შეძლო წვეოდა სასწავლო და კვლევით ობიექტებს. კურსდამთავრებულებს ინტერვიუ ჩაუტარდათ დისტანციურად ონლაინ საშუალებებით, რადგან თითქმის ყველა მათგანი მუშაობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი განსაზღვრავენ კურსდამთავრებულთა სასურველ მახასიათებლებს, რომლებიც შესაბამისობაშია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სახელმძღვანელო პრინციპებთან. ისინი შემუშავდა საქართველოში პროფესიის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციის საფუძველზე, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და არსებითად იგივეა, რაც ქართულენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათვის. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ყველა კურსდამთავრებულმა უნდა გაიაროს ეროვნული სალიცენზიო გამოცდები, ან საქართველოში, ან იმ ქვეყანაში, სადაც აპირებენ პრაქტიკას. გარდა ამისა, საქართველოში კლინიკური სწავლებისაკენ მიმავალი გზა უფრო გრძელი და ნაკლებად პირდაპირია, კურსდამთავრებულები თავდაპირველად

საქმდებიან ექიმის ასისტენტებად. სწავლის დამთავრების შემდეგ უცხოელი სტუდენტების უმეტესობა კარიერული განვიტარების მიზნით ტოვებს საქართველოს. პაციენტებთან შედარებით ნაკლებად ინტენსიური ურთიერთობის გამო (ზოგადად მხოლოდ ინგლისურენოვან პაციენტებთან ან კლინიკურ მასწავლებლებთან, რომლებსაც შეუძლიათ თარგმნა), ზღუდავს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს და კურსდამთავრებულთა მუშაობისათვის მზადყოფნა გაუგებარია. . იყო სულ რამდენიმე მონაცემი პროგრამაში სტუდენტების პროგრესის შესახებ და იმაზე, თუ რამდენად კარგად გაუძღვნენ ისინი ადგილობრივ და საერთაშორისო სალიცენზიო გამოცდებსა თუ საქმიანობას სამუშაო ადგილზე.

წერეთლის უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს მეტი ადაპტაციისთვის - "მულტიკულტურული შეხვედრა ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის". ონლაინ შეხვედრის დროს ერთ-ერთ სტუდენტს გაახსენდა უნივერსიტეტის მხარდაჭერა სწავლის პირველ კურსზე, რაც მისთვის ძალიან სასარგებლო იყო, თუმცა სხვა სტუდენტებმა ამის შესახებ ექსპერტებს ვერაფერი უთხრეს. წერეთლის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამის სტუდენტებმა გაიხსენეს პრაქტიკული გამოცდილება მემორანდუმზე ხელმომწერი საავადმყოფოების მონახულებისას. რამდენიმე მათგანს აქვს პაციენტის გასინჯვის გამოცდილება რამდენჯერმე. ენობრივი ბარიერი ართულებს ანამნეზის შეგროვებას, მაგრამ ლექტორები ეხმარებიან მათ თარგმანში. როგორც სტუდენტებმა თქვეს, მათ ჯერ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ფიზიკურად გაესინჯათ პაციენტები, მაგალითად - პალპაცია, პერკუსია. რამდენიე სტუდენტს, რომლებიც მე-8 სემესტრს გადიან, საერთოდ არ გააჩნიათ კინიკური გამოცდილება.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორეს ტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამეს ტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.გადახედეთ ურთიერთკავშირს პროგრამის შედეგებსა და უცხოელი სტუდენტების კლინიკური სწავლის შესაძლებლობების მიღწევებს შორის. პრიორიტეტი უნდა გახდეს სალიცენზიო გამოცდებზე წარმატებისა და დასაქმებულთა სამუშაოს შესრულების შეფასება.
2. უნივერსიტეტმა უნდა დაავალოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ჩატარება, უცხოელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის შედეგებზე (კარიერა სპეციალობის მიხედვით და ადგილმდებარეობა) თვალყურის მისადევნებლად. ამან შესაძლოა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტებთან თანხმობა და ძლიერი მარკეტინგული სტრატეგია.

3. სილაბუსებში, ყოველკვირეულ გეგმასთან ერთად, უნდა მიეთითოს თუ რომელი ლიტერატურიდან ასწავლიან თემას, სახელმძღვანელოს ან სხვა ლიტერატურის დასახელებითა და მასში გვერდების იდენტიფიცირებით. ლიტერატურა მედიცინის ყველა სფეროში არ უნდა იყოს 5 წელზე უფრო ძველი გამოცემის.
4. დასკვნითი გამოცდებისათვის გამოიყენეთ შეფასების უფრო შესაბამისი მეთოდოლოგია. მხოლოდ მრავალპასუხიანი კითხვები (MCQ) არ არის შესაბამისი.
5. პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო/ადგილობრივ სამედიცინო/სამეცნიერო ღონისძიებებში
6. პროგრამის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა
7. პროგრამის სტუდენტები უნდა იღებდნენ დახმარებას კარიერული განვითარების ცენტრისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად, ინგლისურენოვანი პაციენტების მოთხოვნა არარელევანტურია, (საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ქართული ენის შესწავლა იმ დონეზე, რომ სტუდენტმა შეძლოს კომუნიკაციის დამყარება პაციენტთან), ხოლო რეკომენდაცია პროგრამის შედეგების მიღწევისა და კლინიკური სწავლების შესაძლებლობების ანალიზის შესახებ - დაწესებულების მიერ აღიარებული პრიორიტეტი და გათვალისწინებული პროცედურაა აწსუ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით EP-QA (აკადემიური საბჭოს დადგენილება #49, 17/18). კურსდამთავრებულთა დიპლომისშემდგომი განათლებისა და დასაქმების ანალიზი მუდმივად გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით (დანართი 8). შესაბამისად, ზემოთაღნიშნული რეკომენდირებული შეფასებები რეალურად ხორციელდება და უკანასკნელის მუდმივად განხორციელების აუცილებლობას პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი იზიარებს რჩევის სახით.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ, ქვესტანდარტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში, მაშინ როდესაც, კურსდამთავრებულების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი გამოყენებულია პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის გასაუმჯობესებლად. უკანასკნელი გამოკითხვების მონაცემებით დასტურდება სწორედ 2019 წ. კურსდამთვრებულთა დიპლომისშემდგომი განათლების მაქსიმალური მაჩვენებელი და 2020 წ. კურსდამთავრებულთა მიმდინარე საგამოცდო პროცესი. კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შესაქმნელად და სამართავად, ტენდენციების გასაანალიზებლად და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის მისაღწევად, უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ქსელში გაწევრიანების კონკრეტული გეგმა, კურსდამთავრებულთა საერთაშორისო ქსელების გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშრებით და განმარტა, რომ ექსპერტებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა მოხდა სიფრთხილით, შესაბამისი ადამიანური რესურსის გადამზადებითა და მატერიალური რესურსის სათანადო მომზადებით და თანდათან უმეტეს კლინიკურ საგნებში OSCE იგეგმება ეტაპობრივად. პროგრამის სასწავლო

კურსების სილაბუსების ანალიზით ნამდვილად ჩანს, რომ პროგრამაში დასკვნითი გამოცდები უმეტესწილად კომბინირებულია და მოიცავს არამხოლოდ MCQs, არამედ ტესტირებას კომბინაციაში სხვა მეთოდთან: MCQ და ზეპირი გამოკითხვა; MCQ და სადემონსტრაციო მასალის აღწერა; MCQ და OSPE- ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა; MCQ და ლაბორატორიულ შეფასება; MCQ და ქეისის ანალიზი; MCQ და OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2012 წლიდან მონაწილეობს ერასმუს-მუნდუსის პროგრამებში, რაც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას. 2015 წლიდან ევროკომისიის გადაწყვეტილებით დაიწყო ერასმუს+ ახალი გაცვლითი პროექტები ე.წ. K 107. 2017 წლამდე ერასმუს-მუნდუსის და შემდგომში ერასმუს+ გაცვლით პროგრამებს ჰქონდა შეზღუდვა, მათში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და შესაბამისად კვოტები და ფინანსები ნაწილდებოდა მხოლოდ მათზე, 2017-2018 წლებიდან აღნიშნული სტიპენდიების მიღებისათვის სტუდენტის მოქალაქეობას აღარ აქვს მნიშვნელობა, რაც გზას გაუხსნის უცხოელ სტუდენტებს ამ მიმართულებით. 2018 წელს ორ უნივერსიტეტს შორის მოქმედი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ანტონი გივა (ნიგერიის მოქალაქე) გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ყარაგანდის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, შემდგომში. პანდემიის პირობებში გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა შეიზღუდა, ამჟამად კი აწსუ აქვს 20 ასეთი K 107 ხელშეკრულება ევროპის სხდასხვა უნივერსიტეტებთან, შესაბამისად, დაწესებულებას აქვს რესურსი, რათა აღნიშნული კომპონენტი შეფასდეს მეტწილად შესაბამისი ნაცვლად ნაწილობრივი შესაბამისობისა.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე-3 სტანდარტის აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრულ შეფასების ოთხდონიან შკალას, რადგან წარმოდგენილი რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით, მათ შესრულებას არ ჭირდება 1 წელზე მეტი დრო. უნივერსიტეტში არსებული რესურსების მობილიზების პირობებში დაწესებულებას ნამდვილად აქვს მზაობა და შესაბამისი გეგმა, რათა საგანმანათლებლო პროგრამამ მეტწილად უზრუნველყოს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილება არაუმეტეს 6 თვის ვადაში და შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. კერძოდ გაიზრდება არსებული და შეთავაზებული სერვისებისა და ინფორმაციის დამატებით აქტიური მიწოდება. მიმდინარე სემესტრში კარიერული განვითარების სამსახურმა ჩაატარა უცხოელი სტუდენტების გამოკითხვა მათი სურვილებისა და საჭიროებების გამოსავლენად, გამოკითხვის ანალიზის შედეგების საფუძველზე შემუშავებულია ტრენინგ კურსებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების გეგმა. სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ფარგლებში, აღნიშნული სამსახურის საქმიანობის მიმართულებებია: სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ომბუდსმენი; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი; აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა, შორენა წიკლაურმა დააზუსტა თუ რა კრიტერიუმებით ხდება პროგრამაზე სტუდენტების მიღება.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ რომელი ქვეყნებიდან ირიცხებიან ძირითადად პროგრამაზე სტუდენტები.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა რეკომენდაციების სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მსგავსი რეკომენდაციების წართულენოვან პროგრამაზე არ გვხვდება, შესაბამისად დაინტერედსა თუ რამ განაპირობა მოცემული რეკომენდაციების განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშჯარიანმა მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ პროგრამის შედეგებისა და მიღწევების შესაბამისობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინგსლიურენოვან პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოელი მოქალაქეების შემთხვევაში ჩარიცხვა ხდება ეროვნული გამოცდების გარეშე და მათთან ხდება სავალდებულო გასაუბრება. დაწესებულება ამჟამად მუშაობს პროექტზე, რათა მომდევნო წლებისთვის შეიმუშავოს ინტეგრირებული მისაღები გამოცდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგეენლმა განმარტა, რომ ქართულენოვან პროგრამაზე სტუდენტებს ეძლევათ საშუალება კარიერული განვითარების ცენტრის საშუალებიტ მუშაობა დაიწყონს რეგიონალურ კლინიკებში. თუმცა უცხოელი სტუდენტებისთვის აღნიშული შესაძლებლობა შეზღუდულია, ვინაიდან მათ აქვთ ქართული ენის პრობლემა. შესაბამისად ამ კუთხით კარიერული დასაქმება დასახვეწია. მთავარ გამოწვევად კი მაინც ენობრივი ბარიერი რჩება. სტუდენტების ფლობენ სალაპაარკო ენას, თუმცა პაციენტთან კომუნიკაცია ქართულად საკმაოდ უჭირთ.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები მსგავის, მათ შორის არის გაზიარების პრობლემები. ქართული პროგრამის ნაწილში საკითხები ბევრად უფრო ნათლად იყო განსაზვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამებს შორის პრაქტიკა ნამდვილად გაზიარებულია, თუმცა არ აის სავალდებულო ისინი იდენტური იყოს, შესაბამისად ამ კუთხით დაწესებულება ექსპერტებს არ ეთანხმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სტუდენტების ძირითადად არიან ნიგერიიდან, ერაყიდან და ინდოეთიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:58
დასრულების დრო: 18:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 35

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, ხოლო აკრედიტაციის სტანდარტების შეფასება შეცვალა შემდეგი სახით:

საბჭომ იმსჯელა და განსაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის 1.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვენბთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად პირველი სტანდარტის „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.5 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 2.6 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხონებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვენთან“ აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის, „სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადექვატურობა“, შეფასების ცვლილება.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართ განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სილაბუსებში მიეთითოს თემატიკების მიხედვით განახლებული (მათ შორის უახლესი უცხოენოვანი) ლიტერატურა;
2. გააუმჯობესეთ სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების მოცულობა და რეალური პაციენტების ტიპიური მკურნალობა;
3. პროგრამის სტუდენტები უნდა იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო/ადგილობრივ სამედიცინო/სამეცნიერო ღონისძიებებში;
4. პროგრამის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა;
5. პროგრამის სტუდენტები უნდა იღებდნენ დახმარებას კარიერული განვითარების ცენტრისაგან.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

1. გააუმჯობესეთ სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების მოცულობა და რეალური პაციენტების ტიპიური მკურნალობა;
2. უზრუნველყავით აუცილებელი ინფორმაცია კურსდამთავრებულთა სამომავლო კარიერასთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით;
3. ვერტიკალური ინტეგრაცია უკეთ უნდა იქნეს წარმოდგენილი;
4. დასკვნითი გამოცდებისათვის გამოიყენეთ შეფასების უფრო შესაბამისი მეთოდოლოგია. მხოლოდ მრავალპასუხიანი კითხვები (MCQ) არ არის შესაბამისი;
5. უნივერსიტეტმა უნდა დაავალოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს კურსდამთავრებულთა გამოკითხვების ჩატარება, უცხოელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის შედეგებზე (კარიერა სპეციალობის მიხედვით და ადგილმდებარეობა) თვალყურის მისადევნებლად. ამან შესაძლოა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტებთან თანხმობა და ძლიერი მარკეტინგული სტრატეგია.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭის აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს სხდომა დატოვეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა

3.მესამესაკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0722 მასალები(ხე, ქაღალდი, პლასტმ,ასი, მინა)
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ახალგაზრდობის გამზ. N98, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 1 აპრილს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტამდე ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და ვიზიტის წინ, 30 მარტს, ჩატარდა მოსამზადებელი შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხები, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით და ჩატარდა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ვიზიტამდე და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. 4 სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის გაწერა;
2. სასწავლო კურსი „გამოყენებითი მექანიკა“ იყოს „ურთიერთშეცვლადობა 1“ -ის წინა პირობა და შეეცვალოს სწავლების სემესტრი;
3. დაუზუსტდეთ წინაპირობები სასწავლო კურსებს: უცხო ენა 2, უცხო ენა 3, დარგობრივი უცხო ენა; სასწავლო კურსები : „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“ და „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“ იყოს გადატანილი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსებში;
4. სასწავლო კურსის „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა 3.
5. სასწავლო კურსის „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ შესასწავლი თემატიკიდან გამომდინარე საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს „ფიზიკა 2“;
6. დაზუსტდეს თემატიკები სასწავლო კურსებში „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ და „საკონსტრუქციო მასალები“
7. შემუშავდეს დოკუმენტი „პრაქტიკის დღიურის გაფორმების წესი“
8. აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგეენლბს განემარტათ საკითხები შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ რამდენი დამსაქმებლები გამოიკითხა, რა პრინციპით იყვნენ ისინი არჩეულნი და რამდენად ვალდურია წარმოდგენლი კვლევა.

გადა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა ბიუჯეტის საკითხის და დიანტერესდა რამდენა არის მზად პროგრამა სტუდენტებსი მისარებად, იმის გათვალისწინებით, რომ ახალია.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის სახელწოდება მის შინაარსსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განმარტა, რომ სასწავლო კურსების ჩამონათვალის მიხედვით მოცემულია ტიპიური მასალათმცოდნეობის შესაბამისი სასწავლო კურსები, რომლის დამატებით ათვისების შემდეგ, სტუდენტს ექნება ცოდნა მასალების შესახებ. პროგრამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტი იღებს ინფორმაციას აპარატურის შესახებ, რაც განსხვავებული პროფესიაა. ექსპერტს აუცილებლად უნდა შეეძლოს ლაბორატორიული გაზომვები, პროგამის მიხედვიტ კი ამ კუთხით სასწავლო კურსები საკამოდ მცირეა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევა, საკვალიფიკაციო ნაშრომის კრედიტების დამატების თაობაზე და დააზუსტა არის თუ არა ნამდვილად საჭირო მოცემული პროგრამის ფარგლებში საბაკალავრო ნაშრომის არსებობა.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხევით 2.5 კომპონენტშ მოცემულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდი მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში გაწერილ მეთოდებთან. შესაბამისად საბჭოს წვრი დაინტერესდა, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული დათქმა რჩევას და არა რეკომენდაციას.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა რამდენად ერთვებინა მომიჯნავე პრპგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო პროექტებში. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებულია ორი კონცეტრაცია, თავისი სწავლის შედეებით, შესაბამისად დაინტერესდა რამდენად შესაბამისობაშ კონცენტრაცისა და პროგრამის სწავლის შედეგები ერთმანეთთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ პროგრამის პირველი მიზანი განსაზღვრულია შემდეგნაირად: ,,საბუნებისმეტყევლო ტექნიკური, ეკონომიკური და საკანონმდებლო დისციპლინების კანონების და ძირითადი პრინციპების გამოყენებით, აღწერს, აანალიზებს მასალებს, საინჟინრო ტექნოლოგიის საწარმოო პროცესებს“, თუმცა სასწავლო კურსებში არ არის მოცემული ეკონომიკურ და საკანონმდებლო დისციპლინებთან დაკავშირებული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ორივე კონცენტრაციაში არის სასწავლო კურსი, რომელიც აღქმულია როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი, რადგან შედეგები სწორედ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესაბამისად არის გაწერილი. სესიების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოცემული საგნებსი აღქმულია როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომი. შესაბამისად, საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით.

რაც შეეხება სწავლა-სწავლების მეთოდების საკითხს, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აქტივობების და მეთოდები იყო არეული, რაზეხ დაწესებულებამ აღნიშნა, რომ საკითხი ჩარჩენლი იყო რამოდენმე სილაბუსში, რამაც გამოწვია რჩევის განსაზღვრა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებსა და კურსდამტავრებულებთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ ისინი ფლობენ საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციას, თუმცა აღინიშნება ნაკლები აქტივობა მათი მხრიდან, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემული კუთხით დაწესებულების გააქტიურება, რათა მოუწოდოს სტუდენტებს აქტივობებში ჩართვისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს ხარჯები ახალ პროგრამებთან დაკავშირებით და იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა პირველ წელს განსზღვრული რაოდენობის სტუდენტების მიღება, ამისათვის ძირითად ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი ხარჯები. სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა კი არის 5.

პროგრამის ხელმძღვანელმა შრომის ბაზრის კველევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კვლევა გაკეთდა იმერეთო რეგიონში ძირითადად იმ საწარმოებთან, რომლებთანაც თანამშრომლობა დაწესებულებას წლების განმავლობაში ჰქონდა. შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებშ გამოიკითხა 50-მდე საწარმო. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ სპეციალობა საკმაოდ აქტუალურია რეგიონში.

რაც შეეხება პროგრამის სახელწოდებას, კვალიფიკაციის ჩარცოდან გამომდინარე, პროგრამა სხვადასხვა მასალებისაგან წარმოებული პროდუქციას შეისწავლის , შესაბამისად სათაურშიც საწარმოო პროდუქცია არის მითითებული. გარდა ამისა, მეწარმე სუბიექტები, რომლებთანაც დაწესებულებას აქვს ურთიერთობა, საწარმოო პროდუქციისა და საწარმოო პროცესის მართვის სპეციალისტებს ითხოვენ, რომლებსაც ექნებათ უნარი, სხვადსხვა მაჩვენებლების პოზიციიდან გამომდინარე წარმართონ სამუშაო პროცესი საწარმოში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ კურსდამთავრებულები გამოდიან საწარმო პროდუქციის მწარმოებლები, რომლებიც დასაქმდებიან სხვადასხვა მასალების პროდუქციის საწარმოში.

საბჭოს წერმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ 0722 დეტალურ სფეროში არსებული კვალიფიკაცია და მოცემული პროგრამის სათაური ნაკლებად კორელირებს ერთმანეთთან.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, 0722 სპეციალობა, შეისწავლის მინის, ქაღალდის, პლასტმასის, ხის და სხვა მასალებისაგან დამზადებული პროდუქტების წარმოებას. მოცემული განსაზღვრებიდან გამომდინარე, დაწესებულება ახორციელებს საწარმოო პროდუქტების შესწავლას. შესაბამისად, სათაურში ფიგურირებს საწარმოო პროდუქცია. დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული არ მოიცავს მხოლოდ პროდუქციის წარმოებას. შესაბამისად, მოიცავს იმ ხარისხისა და ტექნიკური დონის პროდუქციას, რომელიც მოთხოვნადია ბაზარზე. კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს პროცესის მართვა.

რაც შეეხება საკანონმდებლო და ეკონომიკურ საკითხებს, პროგრამაში მოცემულია სასწავლო კურსი ,,სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები", რომელშიც მოცემულია საკანონმდებლო პოზიციები და განხილულია კანონი მეწარმეთა შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:55
დასრულების დრო: 19:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის"

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოედგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები, ხოლო აკრედიტაციის სტანდარტების შეფასება შეცვალა შემდეგი სახით:

საბჭომ იმსჯელა და განსაზღვრა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის 1.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვენბთან“ უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად პირველი სტანდარტის „საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა“ ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.5 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის, „სწავლის მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადექვატურობა“, შეფასების ცვლილება. 4.4 და 5.1 კომპონენტების შეფასება, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მე-4 და მე-5 სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართ განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზანი კორექტირდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და 0722 დეტალური სფეროს შესაბამისად. დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და მიზანი, შესაბამიობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან;
2. რეკომენდირებულია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის გაწერა;
3. სასწავლო კურსი „გამოყენებითი მექანიკა“ იყოს „ურთიერთშეცვლადობა 1“ -ის წინა პირობა და შეეცვალოს სწავლების სემესტრი;
4. დაუზუსტდეთ წინაპირობები სასწავლო კურსებს: უცხო ენა 2, უცხო ენა 3, დარგობრივი უცხო ენა;
5. სასწავლო კურსები : „გარემოს დაცვა და შრომის უსაფრთხოება“ და „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“ იყოს გადატანილი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსებში;
6. სასწავლო კურსის „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა 3.
7. სასწავლო კურსის „სტანდარტიზაცია და მეტროლოგია“ შესასწავლი თემატიკიდან გამომდინარე საჭიროა წინაპირობად განისაზღვროს „ფიზიკა 2“;
8. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
9. პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები მოვიდეს თანხვედრაში სილაბუსებში გაწერილ მეთოდებთან.

10. აუცილებელია, სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო დარგობრივ პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამით;
11. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
12. ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

1. დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები;
2. სასურველია გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის ხარისხი;
3. სასწავლო კურსში „ საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ერთიანი სისტემა“ დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან;
4. სასურველია სასწავლო კურსისთვის „მასალების დამამუშავებელი იარაღები და მათი ექსპლუატაცია“ და „პროდუქციის ხარისხის მართვა“ უპირატესობა მიენიჭოს შედარებით ახალი - 2010 წლის შემდგომი ლიტერატურული გამოცემების გამოყენებას;
5. შემუშავდეს დოკუმენტი „პრაქტიკის დღიურის გაფორმების წესი;
6. სასურველია საკვალიფიკაციო ნაშრომი ცალკე კრედიტად შევიდეს პროგრამაში და თან დაერთოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო ნაშრომის გაფორმების წესი.
7. სასურველია სასწავლო კურსებში „მასალების დამუშავების მეთოდები“, „ნივთიერების, მასალებისა და პროდუქციის ტექნიკური ექსპერტიზის მეთოდები“ ჩასწორდეს შეფასების მეთოდი, კრიტერიუმი და მიეთითოს ამ მეთოდის განხორციელების დრო;
8. სასურველია ჩასწორდეს რეფერატის შეფასების კრიტერიუმები პრაქტიკის სილაბუსებში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭის აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N424, 24.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას ქ. 68, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი №1,
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შეფასებაც განხორციელდა 2021 წლის 7–8 აპრილს. ამასთან, 7 აპრილს ვიზიტი განხორციელდა ონლაინ (კომუნიკაციის ელექტრონული პლატფორმა ZOOM–ის გამოყენებით), ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 8 აპრილს დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტით. ინტერვიუები წარიმართა მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში. წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა ყველა დაგეგმილი შეხვედრა. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსს, სტუ-ის აღრიცხვაანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ფაკულტეტის დეკანს, ხუს–ის ხელმძღვანელსა და პროგრამის ხელმძღვანელს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული მათ მიერ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსის „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“ წინაპირობად სასწავლო კურსი „ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა“ შეიძლება იყოს ამოღებული;
2. სასწავლო კურსის „საფუთავი მასალები და საწარმოო პროცესები“ – წინაპირობად შეიძლება განხილულ იქნას სასწავლო კურსი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, ნაცვლად სასწავლო კურსისა „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“.

3. გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ: - „ქართული ხალხური რეწვა“ ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ნაქარგობას ეხება, როცა სილაბუსში ხალხური რეწვის სხვა მიმართულებებიცაა განხილული (ქსოვა (სხვადასხვა ტექნიკით), თელვა, ღებვა); - „ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები“ – აღნიშნული საკითხები ღრმად და საინტერესოდ არის განხილული გ. ჯალაბაძის, ს. მაკალათია, ც. ბეზარაშვილის და სხვათა წიგნებში; - სილაბუსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ზოგადი ტექნოლოგია“ – ფეხსაცმელთან დაკავშირებული ლიტერატურა არ არის; - „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების კონსტრუირების საფუძვლები – ანთროპომეტრია“ – ტყავის ნაკეთობების შესწავლისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ავტომატური დაგეგმარება“, რომელსაც თავის მხრივ უნდა დაემატოს სახელმძღვანელო „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება 2“. აღნიშნული სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაში იძებნება, შესაბამისად არ არის პრობლემა მისი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და შეეცვალა სფერო, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია დარჩა უცვლელი -„სამრეწველო ინჟინერიის და ტექნოლოგიის ბაკალავრი“. დამსაქმებელთა და ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე საგნებში მოხდა ცვლილება და პროგრამას დაემატა ახალი სასწავლო კურსები, რომელიც დაკავშირებულია სამრეწველო ინჟნერიის საწარმოთა ავტომატიზაციის, დაგეგმარებისა და ექსპლუატაცია, რემონტის საკითხებთან,. ასევე, რიგი სასწავლო კურსები დაჯგუფთა და მიენიჭა არჩევითი კურსის სტატუსი. სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებისა და თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, გაიზარდა უცხოური ენის სასწავლო კურსების კრედიტები და 6 კრედიტის ნაცვლად გახდა 20 კრედიტი. აგრეთვე, დამსაქმებლების მოთხოვნების გათვალისწინებით სპეციალობის სასწავლო კურსებს გაეზარდა კრედიტების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა თუ რამდენად წარმოადგენს წინაპირობის ამოღება რეკომენდაციას. შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მითითებული იყოს რესპოდენტების ვინაობა და მათი შერჩევის საფუძვლები. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების წილი საკმაოდ მაღალია და პროგრამის განვითარებისთვის რჩება მხოლოდ 8753 ლარი.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ,,საწარმოთა ეკონომიკისა და მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ თავად სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, მენეჯმენტი არაფერ შუაშია, მოცემული წარმოადგენს მხოლოდ საწარმოთა ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სათაური და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა ,,ჰიდრავლიკის საფუძლების“ სასწავლო კურსი, რომლის წინაპირობად განსაზღვრულია ,,საინჟინრო მათემატიკა1“, ხოლო მოცემულ საგანში არ არის მოცემული დიფერენციაციული განტოლებები, ინტეგრირება და ა.შ. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მასშ მოცემული სასწავლო კურსი სრულად შეუსაბამო იყო რომ განსაზღვრულიყო წინაპირობად, სწორედ ამიტომ საკითხი განისაზღვრა რეკომენდაციის სახით.

რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაფინანსებულია, რაც ასევე განაპირობებს მის ფინანსურ მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის დაფინანსება ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილს შეადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტი, ხოლო დანარჩენი ფინანსდება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტით. პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის ადამიანური და მატერიალური რესურსით.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა 17 რესპოდენტის გამოკითხვის ფარგლებში სრულიად ვალიდურია.

რაც შეეხება ,,ჰიდრავლიკის საფუძლებს“, დაწესებულება იმსჯელებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და აუცილებლობის შემთხვევაში შეცვლის დაშვების წინაპირობებს.

მნიშვნელოვანია ასევე ,,საწარმოთა ეკონომიკისა და მენეჯმენტის სასწავლო კურის“, კერძოდ სასწავლო კურსში მხოლოდ ერთი პატარა მონაკვეთი ეძღვნება მენეჯმენტის საკითხებს, თუმცა დაწესებულება იზიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ,,მეწარმეთა საფუძლების“ სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:19
დასრულების დრო: 20:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
რეკონენდაციები:

1. სასწავლო კურსის „საფუთავი მასალები და საწარმოო პროცესები“ – წინაპირობად შეიძლება განხილულ იქნას სასწავლო კურსი „გარემოს დაცვა და ეკოლოგია“, ნაცვლად სასწავლო კურსისა „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“;
2. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ: - „ქართული ხალხური რეწვა“ ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ნაქარგობას ეხება, როცა სილაბუსში ხალხური რეწვის სხვა მიმართულებებიცაა განხილული (ქსოვა (სხვადასხვა ტექნიკით), თელვა, ღებვა);
3. „ხელოსნური წარმოება და ტყავის დამუშავების ხალხური წესები“ – აღნიშნული საკითხები ღრმად და საინტერესოდ არის განხილული გ. ჯალაბაძის, ს. მაკალათია, ც. ბეზარაშვილის და სხვათა წიგნებში; -
4. სილაბუსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ზოგადი ტექნოლოგია“ – ფეხსაცმელთან დაკავშირებული ლიტერატურა არ არის;
5. „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების კონსტრუირების საფუძვლები – ანთროპომეტრია“ – ტყავის ნაკეთობების შესწავლისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსში „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ავტომატური დაგეგმარება“, რომელსაც თავის მხრივ უნდა დაემატოს სახელმძღვანელო „ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება 2“. აღნიშნული სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაში იძებნება, შესაბამისად არ არის პრობლემა მისი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.
6. რეკომენდირებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ჰიდრავლიკის საფუძვლები“ წინაპირობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები;
2. სასწავლო კურსის „სამრეწველო მასალების კონფექციონირება“ წინაპირობად სასწავლო კურსი „ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
3. სასურველია სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკა და მენეჯმენტი დაზუსტდეს სათაური.
4. სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსის "მეწარმეობის პრინციპების" წინაპირობა
5. სასწავლო კურსს „საინჟინრო მათემატიკა 3“ დაემატოს ალბათობის თეორისაა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;
6. სასწავლო კურსის „საგამოცემლო საქმე და წიგნმცოდნეობა“ შინაარსში გამოიკვეთოს თემა საავტორო უფლებების შესახებ;
7. სასწავლო კურსში „ბეჭდვითი რეკლამა“ გადაიხედოს შინაარსი და მოხდეს მისი ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბება;
8. სასურველია სილაბუსების აღწერილობით ნაწილში მითითებული იყოს სასწავლო კურსის სტატუსი (ძირითადი/არჩევითი).
9. სასურველია პარტნიორ საწარმოთა რიცხვის და პროფილის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;

10. სასურველია სასწავლო კურსის „მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის და აქსესუარების მასალაში შესრულება“ კრედიტების რაოდენობის გაზრდა (5 კრედიტამდე), რათა სტუდენტებს მეტი დრო ჰქონდეთ პრაქტიკული უნარ–ჩვევების შეძენისათვის;
11. სასურველია ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;
12. სასურველია მხოლოდ პრაქტიკული/ლაბორატორიული კომპონენტის მქონე სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული იყოს, რომ პორტფოლიო არის კონკრეტული კურსის საბოლოო პროდუქტი.
13. სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება–სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე.
14. სასურველია სტუდენტმა შექმნას და წარმოადგინოს პორტფოლიო იმ სასწავლო კურსების ათვისებისას, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ პრაქტიკულ სამუშაოებს,რომლებიც ორიენტირებული არიან სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომების წარმოდგენაზე და ამ შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერიც უნდა არსებობდეს სილაბუსში.
15. სასურველია დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური ქულა 11–ის ნაცვლად განისაღვროს არანაკლებ მაქსიმალური ქულის მესამედით მაინც;
16. სასურველია, გაიზარდოს აქტიურ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობა პროგრამასთან და უნივერსიტეტში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით;
17. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე;
18. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება;
19. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შევსება სტუ–ს ბაზაში არსებული დარგობრივი მიმართულების სხვა სახელმძღვანელოებით;
20. სასურველია პროგრამის ბიუჯეტი ნათლად ასახავდეს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ თანხებსა და წყაროებს.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭის აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5.**მეხუთე საკითხი:** სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება N275, 24.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 - პროგტრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითრება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2021 წლის 18 იანვრის №10198 წერილით წარმოდგენილ იქნა "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით, რომელიც დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №275 გადაწყვეტილებით. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 10 მარტის ბრძანების საფუძელზე 2021 წლის 19 მარტს დისტანციურად zoom პლათფორმის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2021 წლის 17 მარტს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1.უნდა შეიცვალოს კურსის „Final Project in Cloud Computing and/or Big Data Processing“ სახელწოდება და აღწერა რათა თავიდან იქნას აცილებული საშიშროება, რომ პროექტი არის შეზღუდული ამ თემატიკით.
2. ლიტერატურის ჩამონათვალი სასწავლო პროგრამის "Cloud Computing" სილაბუსში უნდა იქნას შესწორებული.
3. განსაზღვრეთ ინგლისურის თავისუფალო ფლობის მოთხოვნები ლექტორებისთვის და უზრუნველყავით, რომ ყველა ჩართული ლექტორი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.
4. უზრუნველყავით პროგრამის მოსალოდნელი სტუდენტების რაოდენობის ლოგიკური დასაბუთება.

ასევე განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სრულად განხორციელდა მოცემული რეკომენდაცების გათვალისწინება და შესრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2019 წელს. ამ ეტაპზე პროგრაფის ფარგლებში ჩარიცხულია 36 სტუდენტი, როგორც ქართველი ასევე უცხოელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:45
დასრულების დრო: 20:48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამაზე მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება

6.**მეექვსე საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „რეაბილიტაციაში მრჩევლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წაროდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რეაბილიტაციაში მრჩეველი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწვეტილება: 2020 წლის 02 ოქტომბერი 936798; 2020 წლის 26 ოქტომბერი 1038931
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მაგისტრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 - თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 33
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:
1. პროგრამის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია მასში ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში, როგორც მაღალი ტემპით განვითარებად დარგში, ახლად წარმოქმნილი პროფესიული საჭიროებებისა და საზოგადოების მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინება და ასახვა, რასაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.
2. სასურველია განისაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის.
3. პრაქტიკის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებებში კლინიკურ გარემოში პრაქტიკის განხორციელების შესახებ, რაც რეალურად დაადასტურა ინტერვიუებმა, პრაქტიკის კომპონენტის კიდევ დამატებით გაძლიერების მიზნით, გაძლიერდეს მაგისტრებთან უკუკავშირი.
4. საქართველოში პრაქტიკის ბაზებზე მაგისტრებისათვის გამოცდილების მიღების მაქსიმალური ხელშეწყობა.

5. დისტანციური სწავლების კომპონენტის გათვალისწინება და უცხოელი სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა.
6. სასურველია სტუდენტის შუალედური შეფასების დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდა სწავლის შედეგებისა და ხარისხის მისაღწევად.
7. სასურველი იქნებოდა მაგისტრებისათვის პოტენციურ დამსაქმებლებთან ხშირი შეხვედრების ორგანიზება დამსაქმებელთა მოთხოვნების გასაცნობად, აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მომზადებას კონკურენტუნარიანი გარემოსათვის.
8. სასურველია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში გამოცდილების მქონე შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების დამატებით მოწვევა, აღნიშნული ხელს შეუწყობს მაგისტრებისათვის ხელმძღვანელების ფართო არჩევანის შესაძლებლობას.
9. სასურველი იქნება მომავალში შრომის ბაზრის მოთხოვნების დამატებითი კვლევა და მიღებული მონაცემების ანალიზი.

პირველ რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში პოტენციური დამსაქმებლებისა და ექსპერტების მონაწილეობით (50 რესპოდენტი) ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ასევე, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა (150). აღნიშნული რესპოდენტები სამუშაო ჯგუფის მიერ გამოკითხულ იქნენ სატელეფონო ინტერვიუს ფარგლებში, პარალელურად განხორციელდა სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევების და სახელმწიფოში არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შრომის ბაზრის ანალიზი. კვლევის მიზანი იყო: შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, დასაქმების სეგმენტის დადგენა, პროგრამის შედეგების შესაბამისობა არსებულ მოთხოვნებთან.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სამაგისტრო პროგრამაზე ,,რეაბილიტაციში მრჩეველი“ მიღების წინაპირობები გამჭირვალეა, შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, თუმცა, პროგრამაში არ იყო განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქართული ენის კომპეტენციის დონე, აუცილებელი პროგრამაზე ჩარიცხვისათვის. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ დამატებით იქნა განხილული დაინტერესების შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის შესაძლებლობა, განსაზღვრულ იქნა ქართული ენის დაუფლებისათვის თსსუ უცხო ენების ცენტრში გადამზადების კურსის შეთავაზება და კომპეტენციის დასადასტურებლად გამოცდის ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტის გაცემის შესაძლებლობით. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში აპლიკანტის ჩარიცხვა პროგრამაზე მოხდება თსსუ მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მე-3 რეკომენდაციის თანახმად, განხორციელდა ცვლილებები პრაქტიკის სილაბუსების შინაარსში, დაკონკრეტდა და განისაზღვრა მაგისტრების მიერ განსახორციელებელი აქტივობები უნივერსიტეტის ბაზებზე სამედიცინო დაწესებულებებში, რეალურ კლინიკურ გარემოში, სადაც პრაქტიკის კურსი ხორციელდება კვალიფიციური კადრების ზედამხედველობით, დაინერგა ახალი გამოცდილებები, კერძოდ ანგარიშის წარდგენა - პრეზენტაცია პოტენციური დამსაქმებლის მონაწილეობით, რაც გააძლიერებს მაგისტრებში პროგრამით გათვალისწინებული უნარების გამომუშავებას, მსგავსი პრაქტიკა მიმდინარე სასწ. წელს დაინერგა და განხორციელდა დისტანციურ რეჟიმში.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განხორციელებაში აუცილებელი მატერიალური ბაზები და ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების სრულად მიღწევას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვლილია იმ ბაზებზე, რომელთანაც საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ურთიერთანამშრომლობის

მემორანდუმები, ხელშეკრულებები. აღნიშნულ ბაზებზე შექმნილი პირობები, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვა უზრუნველყოფს პრაქტიკის ეფექტურად გავლას, ხელს უწყობს მაგისტრებში საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში სამედიცინო განათლებაში აპრობირებული სწავლა/სწავლების მეთოდების გარდა დაინერგა დისტანციური სწავლების მეთოდი, თსსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თანახმად, დაიგეგმა უცხოელი სპეციალისტების მოწვევა პროგრამის აკადემიური უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მაგისტრებმა მონაწილეობა მიიღეს ვებინარში Covid19-თან დაკავშირებით, იანვარში გაიმართა ონლაინ შეხვედრა პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორებთან, ამასთანავე, დაიგეგმა გაზაფხულის სემესტრის დისტანციური ლექციები, განხილული და შეთანხმებული იქნა ონლაინ-კონფერენციებისა და ვებინარების ჩატარების გეგმა.

გარდა ამისა, შრომის ბაზარზე საჭიროებებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესასწავლად უნივერსიტეტს და სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს შემუშავებული აქვს პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრების განრიგი, პარალელურად, სამუშაო ჯგუფის მიერ დაგეგმილია პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით ერთობლივი ყოველწლიური შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება და კვლევის შედეგების ანალიზის საჯარო წარდგენა, რაც გაზრდის მაგისტრებისა და პროგრამის დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსების (კერძოდ: რეაბილიტაციაში მრჩეველის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები/ ფსიქორეაბილიტაცია/ ნებისყოფის განვითარება, შეფასება, ფსიქოჰიგიენა/ პროფესიული და ჯგუფური რეაბილიტაცია/ უნარშეზღუდულობის სამედიცინო და ფსიქოლოგიური ასპექტები/ პრაქტიკა 1,2) განსახორციელებლებად მოწვეულ პერსონალს დაემატა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგის გამოცდილი სპეციალისტები. ასევე, ხორციელდება მუშაობა მომავალი სასწავლო წლიდან სპეციალისტების რეიტინგული შერჩევისათვის პირობების შესამუშვებლად, თსსუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად, დაიგეგმა უცხოელი სპეციალისტების უფრო აქტიური ჩართვა აკადემიურ პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ესპერტს და საბჭოს წევრებს. ასევე განაცხადა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტის მოსაზრებებს და შენიშვნები არ გააჩნდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:00
დასრულების დრო: 21:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „რეაბილიტაციაში მრჩევლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "რეაბილიტაციაში მრჩევლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:08 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ